ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს

# სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 ივლისი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 141 (9552) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## დღეს შეჯიბრებას იწყებენ:

- **თბილისში** – მძლეოსნები და ფრენბურთელები (ჭაბუკები);
- **სოხუმში** – ფრენბურთელები (გოგონები);
- **ცხინვალში** – ძალოსნები;
- **ქუთაისში** – მოკრივეები;
- **ხობში** – მოცურავეები;
- **სამტრედიაში** – მოჭადრაკეები.

## ემზადებიან...




ახლახან ბათუმში დამთავრდა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. კიდევ რამდენიმე დღეც და ამ ქალაქის სარბიელზე გამოვლენ მხატვრული ტანმოვარჯიშეები. წყალშიმხტომელები მართალია ცოტა მოგვიანებით ჩაებმებიან თამაშებში, მაგრამ ისინიც ინტენსიურად ემზადებიან ამ საპასუხისმგებლო სტარტებისათვის. სურათებზე აღბეჭდილია ნაკრების წევრთა წვრთნის მომენტები.

ვ. ბუკიას ფოტოები.

## კიდევ ერთი ბრინჯაოს ჯილდო



გიორგი ჩოგოვაძე

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა წვლილის შესახებ. ზაგრებიდან მოსული დამატებითი ცნობების თანახმად, აღმოჩნდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთ წარმომადგენელს, სახელდობრ გიორგი ჩოგოვაძეს ბრინჯაოს მედალი მოუპოვებია კოშკიდან წყალში ხტომაში.

ამ სახეობაში ჩინელ სპორტსმენთა უპირატესობა აშკარა იყო. ოქროს მედალი ლი კონჩენმა დაიმსახურა (631,71 ქულა), ვერცხლის ჯილდო კი ტონ ხუმ მიიღო (620,61). ჩოგოვაძეს საბჭოთა წყალშიმხტომელებს შორის საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა (588,18 ქულა), რამაც მას ბრინჯაოს ჯილდო მოუტანა. გ. სტაროდუბცევი (სსრ კავშირი) ამ სახეობაში მხოლოდ მერვე იყო — 513,24 ქულა

## საზონათშორისო ტურნირებზე

როგორც იცით, იუგოსლავიაში ქალთა ორი საზონათშორისო ტურნირი მიმდინარეობს.

**სმედერევსკა-პალანკაში** მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართა. აქ 3,5-3,5 ქულით ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკე მარტა ლიტინსკაია და უნგრელი ილდიკო მადლი. ზოია ლელჩუკს 3 ქულა აქვს, ნონა გაფრინდაშვილსა და ირინა ლევიტინას — 2-2.

მეოთხე ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: ლიტინსკაიამ შავებით მოუგო შვედ ნიუბერგს, ლევიტინა დაუზავდა ჩინელ იან ფენს, გაფრინდაშვილი — ბულგარელ ვოისკას, ლელჩუკი — ჩინელ მინ ჩენს.

ამ ტურში ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ახალგაზრდა უნგრელმა მოჭადრაკემ ილდიკო მადლმა შეჯიბრების ლიდერი კლიმოვა დაამარცხა.

**ტუზლაში** ჯერჯერობით მხოლოდ ორი ტურის შეხვედრები გათამაშდა. ტურნირის ხუთმა მონაწილემ — ნანა იოსელიანმა, სვეტლანა მატკევამ, პოლონელმა აგნეშკა ბრუსტმანმა, ჩინელმა ში ლანმა და ესპანელმა კანელამ ორივე პარტია მოიგეს.

დანარჩენ საბჭოთა მოჭადრაკეებს — ქეთევან არახამიას, ლიდია სემიონოვასა და გულნარა სახატოვას 0,5-0,5 ქულა აქვთ.

მეორე ტურში მატვეევამ შავებით მოუგო კუბელ ფრომეტას, იოსელიანმა—არახამიას. დაზავდნენ სახატოვა და ინდოელი კადილკარი, სემიონოვამ ჩინელ ში ლანთან წააგო.

**უნგრეთის** ქალაქ სირაკში მიმდინარე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირის მესამე ტურის შეხვედრების უმეტესობა ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ სალოვი და რუმინელი მარინი, უნგრელი პორტიში და ტუნისელი ბუაზისი, კანადელი ალენი და უნგრელი ადორიანი, იუგოსლავიელი ველიმიროვიჩი და ისლანდიელი ჰიარტარსონი, იუგოსლაველი ლიუბოევიჩი და ამერიკელი ქრისტიანსენი, ამერიკელი ბენჯამინი და ინგლისელი ფლირი; ინგლისელმა ჯონათან ნანმა ესპანელ დე ლა ვილას მოუგო, ბრაზილიელმა ჯილბერტო მილოშმა მონაკოელი ტოდოროვიჩი დაამარცხა.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს მოჭადრაკეებმა „დაისვენეს" — ბრძოლის განუახლებლად დაზავდნენ რუმინელი მარინი და ბენჯამინი (აშშ), ინგლისელი ფლირი და ბრაზილიელი მილოში.

სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულით კვლავ ლიდერობენ სალოვი, ინგლისელი ნანი და ქრისტიანსენი (აშშ). მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ლიუბოევიჩი, ბენჯამინი და მილოში.

რაც შეეხება ალექსანდრე ბელიავსკის, II ტურში ტუნისელი ბუეზისის დამარცხების შემდეგ მას ავადმყოფობის გამო აღარ უთამაშია. ბელიავსკის დასამთავრებელი აქვს ორი პარტია.

# თბილისის სპორტის სასახლეში



**ხვალ დაიწყება XVIII საერთაშორისო ტურნირი ძიდაობა ძიუდოში.**

მონაწილეობენ გდრ-ის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, მონღოლეთის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, იაპონიის, საფრანგეთის, გფრ-ის, ჰოლანდიის, ბელგიის, აშშ-ის, ესპანეთის, იტალიის, სირიის, კვიპროსის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ძიუდოისტები.

დასაწყისი 15 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

## ინფორმაცია

**მოსკოვის** სპორტდარბაზ „დრუჟბას" სარბიელზე იაპონიისა და გფრ-ის ფრენბურთელ ვაჟთა შეხვედრით დაიწყო ანატოლი ჩინილინის პირველი საერთაშორისო ტურნირი. 3:0 გაიმარჯვეს იაპონელმა სპორტსმენებმა.

ასპარეზობაში აგრეთვე მონაწილეობენ ჩინეთის, ბულგარეთის, ჰოლანდიის, აშშ-ის, სსრ კავშირი-1 და სსრ კავშირი-2 ნაკრებები.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**დღეს, 22 ივლისს, 20 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში, ძიუდოში საერთაშორისო ტურნირის ჩატარებასთან დაკავშირებით მოეწყობა პრესკონფერენცია და ტურნირზე ჟურნალისტთა აკრედიტაცია.**

სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

# ქუთაისის რინგი იხმობს...

„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი თამაზ ხარაბაძე ტელეფონით გვატყობინებს...

**სპორტსკოლების** მოსწავლეთა პირველი საკავშირო თამაშები ქუთაისსაც ეწვია. აქ ტარდება ამ თამაშების მოკრივეთა ტურნირი (22-28 ივლისი). ამ შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად იმთავითვე შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ქალაქის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე დავით წერეთელი ხელმძღვანელობს.

ამ დღეებში გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელმაც შეაჯამა თამაშებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ სპორტკომბინატის სადემონსტრაციო დარბაზი კაპიტალური რემონტის შემდეგ მზადაა უმასპინძლოს შეჯიბრების მონაწილეებს (ყველა ეს სამუშაო ჩაატარა სპორტშენის ქუთაისის უბანმა — უფროსი ვატული კორძახია). დარბაზში დამონტაჟდა სპეციალური ასაწყობი ოლიმპიური რინგი, რომელმაც უკვე დაიმსახურა სპეციალისტების მოწონება.

მონაწილეები და მწვრთნელები ცხოვრობენ ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის და კოოპერაციული ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში. ამ შენობაში ჩატარდა კაპიტალური რემონტი. ხელახლა შეიღება და კეთილმოეწყო საძინებელი ოთახები, კვების ბლოკები, მოეწყო დასასვენებელი ოთახები. ერთი სიტყვით, ნორჩ სპორტსმენებს დასასვენებლად კარგი პირობები აქვთ.

მათთვის შემუშავებულია სპეციალური მენიუ, რომელიც უზრუნველყოფს მაღალკალორიულ კვებას.

ქალაქის ყველა სამსახური მზად არის უმასპინძლოს თამაშის მონაწილეებს. მოკრივეთა შეჯიბრებაში 11 გუნდი მონაწილეობს. მანამდე მონაწილეებმა გამოცდა ჩააბარეს საერთო ფიზიკურ მომზადებაში. სპეციალისტებისა და მწვრთნელების აზრით ყველა მონაწილე კარგადაა მომზადებული და პირველი ადგილისთვის ბრძოლა მწვავე და უკომპრომისო იქნება.

საერთო ფიზიკურ მომზადებასა და თეორიაში კარგი შედეგები ჰქონდა საქართველოს ნაკრებს.

გუშინ საქართველოს ნაკრებმა კრება ჩაატარა. უფროსმა მწვრთნელმა დავით შიუკაშვილმა, მწვრთნელებმა ტარიელ ვერულაშვილმა, თეიმურაზ ლორთქიფანიძემ, გია კუხიანიძემ, როლანდ კვაჭაძემ, ალბერტ ელისონიანმა და სხვებმა ხაზი გაუსვეს ამ შეჯიბრების მნიშვნელობას. თავის მხრივ მოკრივეებმა აღუთქვეს, რომ ყველა ბრძოლას მაქსიმალური მონდომებით ჩაატარებენ, რათა იბრძოლონ მაღალი ადგილების მოსაპოვებლად.

მაშ ასე, დღეს ქუთაისის რინგზე იხმობენ.

**საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ:** არმენ გევორქიანი (40 კგ, თბილისი), ვასილ აბსარიძე (48 კგ, ფოთი), კარენ ესოიანი (48 კგ, სოხუმი), კახაბერ ჩიქვინიძე (50 კგ, თბილისი), მათე კოლუაშვილი (52 კგ, ქუთაისი), გოჩა აბსარიძე (54 კგ, ფოთი), როინ ჩიკვაიძე (57 კგ, ცხაკაია), აქვსენტი ქაჩიბაია (60 კგ, ცხაკაია), ლევან კალანდაძე (63 კგ, თბილისი), ალბერტ ოჩიგავა (66 კგ, ფოთი), კახაბერ ყურავა (70 კგ, ფოთი), თამაზ ბუაძე (74 კგ, ჭიათურა), დიმიტრი ავდალიანი (79 კგ, თბილისი), ირაკლი ჩოქური (85 კგ, თბილისი), არმენ ბურდიანცი (+85 კგ, თბილისი).

# ჩვიდმეტი საფეხური

**დიდი** სპორტის რეზერვების გენერალურ დათვალიერებას საფუძველი 1954 წელს ჩაეყარა. მას შემდეგ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების სტრუქტურასა და პროგრამაში ბევრი არსებითი ცვლილება მოხდა. პირველი ექვსი სპარტაკიადა ყოველწლიური მტკიცე გრაფიკით ტარდებოდა. მერე ძალაში შევიდა ორწლიანი მონაცვლეობის ციკლი, რომელიც ბოლოს სამწლიანი პერიოდებით შეიცვალა.

პირველი დამფუძნებელი სპარტაკიადა, რომელსაც ლენინგრადი მასპინძლობდა, სპორტის შვიდ სახეობას (კალათბურთი, ველოსპორტი, ფრენბურთი, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა და ტყვიის სროლა) მოიცავდა. მერე და მერე პროგრამა გაიზარდა, მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი გახდა. ამასთან გაიზარდა სპარტაკიადების მონაწილეებისადმი მოთხოვნები, საკლასიფიკაციო ნორმატივები. ტაშკენტის ბოლო, XVII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის უკვე 28 სახეობა იყო შეტანილი.

საქართველოს სპორსტმენები მოსწავლეთა სპარტაკიადებში უთანაბროდ გამოდიოდნენ. ერთხელ, 1958 წელს რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია I ადგილზე გავიდა, ერთხელ (1957 წ.) მესამეზე. ყველაზე დაბალი გუნდური მაჩვენებელი ჩვენს სპორტსმენებს 1981 წელს ჰქონდათ — მეათე ადგილი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამჯერ (1969, 1972 და 1974 წლებში) საერთო გუნდური შედეგები არ გამოუყვანიათ. მაგრამ ცალკეულ მაჩვენებელთა შედარების საფუძველზე საერთო მაჩვენებლის დადგენა მაინც მოხერხდა. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც მოცემულია საქართველოს მოსწავლეთა გუნდური შედეგები საკავშირო სპარტაკიადებში.

| | | | |
|---|---|---|---|
| I | 1954 | ლენინგრადი | V |
| II | 1955 | კიევი | VI |
| III | 1956 | მოსკოვი | VII |
| IV | 1957 | რიგა | III |
| V | 1958 | თბილისი | I |
| VI | 1959 | მოსკოვი | VI |
| VII | 1961 | ბაქო | IV |
| VIII | 1963 | ვოლგოგრადი | V |
| IX | 1965 | მინსკი | VI |
| X | 1967 | ლენინგრადი | VI |
| XI | 1969 | ერევანი | V |
| XII | 1972 | კიევი | V |
| XIII | 1974 | ალმა-ათა | VII |
| XIV | 1976 | ლვოვი | VI |
| XV | 1978 | ტაშკენტი | VI |
| XVI | 1981 | ვილნიუსი | X |
| XVII | 1984 | ტაშკენტი | VIII |

დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ რესპუბლიკის გუნდების შედეგებს სპორტის ცალკეულ სახეობებში. ამ ცხრილებს აქვთ გარკვეული შემეცნებითი ღირებულება. ისინი საშუალებას მოგვცემენ გავაანალიზოთ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში შედეგთა ზრდის ან კლების ტენდენციები.

**კალათბურთი**

| | ვაჟები | გოგონები | საერთო |
|---|---|---|---|
| 1954 წ. | 3 | 4 | 3 |
| 1955 წ. | 3 | 4 | 2 |
| 1956 წ. | 4 | 3 | 3 |
| 1957 წ. | 5 | 1 | 2 |
| 1958 წ. | 1 | 2 | 1 |
| 1959 წ. | 9 | 12 | 11 |
| 1961 წ. | 7 | 3 | 4 |
| 1963 წ. | 5 | 1 | 3 |
| 1965 წ. | 2 | 11 | 4 |
| 1967 წ. | 3 | 8 | 6 |
| 1969 წ. | 9 | 7 | 9 |
| 1972 წ. | 3 | 6 | 4 |
| 1974 წ. | 8 | 10 | 9 |
| 1976 წ. | 5 | 9 | 7 |
| 1978 წ. | 9 | 9 | 8 |
| 1981 წ. | 12 | 11 | 11 |
| 1984 წ. | 11 | 14 | 14 |

**ფრენბურთი**

| | ვ. | გ. | ს. |
|---|---|---|---|
| 1954 წ. | 5 | 7 | 5 |
| 1955 | 4 | 8 | 4 |
| 1956 | 9 | 11 | 8 |
| 1957 | 1 | 4 | 2-3 |
| 1958 | 4 | 1 | 2 |
| 1959 | 3 | 7 | 4 |
| 1961 | 3 | 5 | 4 |
| 1963 | 1 | 3 | 1 |
| 1965 | 9 | 10 | 7-11 |
| 1967 | 7 | 6 | 6 |
| 1969 | 9 | 8 | 7 |
| 1972 | 4 | 7 | 5-6 |
| 1974 | 9 | 6 | 6 |
| 1976 | 6 | 9 | 7-10 |
| 1978 | 8 | 8 | 8 |
| 1981 | 9 | 13 | 11 |
| 1984 | 6 | 10 | 8 |

**ტანვარჯიში**

| | ვ. | გ. | ს. |
|---|---|---|---|
| 1954 | 1 | 5 | 3 |
| 1955 | 2 | 2 | 2 |
| 1956 | 1 | 4 | 1 |
| 1957 | 1 | 5 | 1 |
| 1958 | 1 | 1 | 1 |
| 1959 | 4 | 5 | 4 |
| 1961 | 2 | 2 | 2 |
| 1963 | 3 | 2 | 3 |
| 1965 | 6 | 6 | 6 |
| 1967 | 3 | 1 | 3 |
| 1969 | 2 | 3 | 4 |
| 1972 | 7 | 7 | 7 |
| 1974 | 7 | 6 | 6 |
| 1976 | 9 | 8 | 9 |
| 1978 | 7 | 5 | 8 |
| 1981 | 6 | 8 | 7 |
| 1984 | 2 | 9 | 6 |

**მძლეოსნობა**

| | ვ. | გ. | ს. |
|---|---|---|---|
| 1954 | 6 | 10 | 7 |
| 1955 | 6 | 11 | 8 |
| 1956 | 7 | 9 | 7 |
| 1957 | 9 | 11 | 10 |
| 1958 | 4 | 4 | 2 |
| 1959 | 9 | 10 | 10 |
| 1961 | 8 | 10 | 9 |
| 1963 | 4 | 9 | 6 |
| 1965 | 8 | 5 | 8 |
| 1967 | 9 | 14 | 12 |
| 1969 | 10 | 11 | 9 |
| 1972 | 3 | 10 | 3 |
| 1974 | 8 | 13 | 12 |
| 1976 | 6 | 14 | 11 |
| 1978 | 3 | 14 | 10 |
| 1981 | 12 | 13 | 12 |
| 1984 | 12 | 15 | 12 |

**ცურვა**

| | ვ. | გ. | ს. |
|---|---|---|---|
| 1954 | 4 | 6 | 6 |
| 1955 | 3 | 8 | 6 |
| 1956 | 4 | 4 | 4 |
| 1957 | 3 | 7 | 5 |
| 1958 | 1 | 7 | 6 |
| 1959 | 5 | 8 | 6 |
| 1961 | 10 | 6 | 9 |
| 1963 | 6 | 8 | 6 |
| 1965 | 11 | 12 | 12 |
| 1967 | 8 | 9 | 9 |
| 1969 | 5 | 9 | 8 |
| 1974 | 11 | 7 | 10 |
| 1976 | 8 | 10 | 10 |
| 1978 | 8 | 14 | 11 |
| 1981 | 10 | 11 | 11 |
| 1984 | 12 | 14 | 13 |

**წყალში ხტომა**

| | ვ. | გ. | ს. |
|---|---|---|---|
| 1957 | 9 | 6 | 9 |
| 1958 | 8 | 5 | 9 |
| 1959 | 8 | 14 | 11 |
| 1961 | 6 | 7 | 5 |
| 1963 | 9 | 5 | 6 |
| 1965 | 13 | 9 | 11 |
| 1967 | 3 | 6 | 3 |
| 1969 | 6 | 14 | 10 |
| 1974 | 8 | 5 | 6 |
| 1976 | 4 | 6 | 5 |
| 1978 | 3 | 4 | 3 |
| 1981 | 4 | 6 | 5 |
| 1984 | 5 | 4 | 5 |

**ნიჩბოსნობა:**

**საბაიდარო და კანოე**

| | ვ. | გ. | ს. |
|---|---|---|---|
| 1957 | 3 | 3 | 3 |
| 1958 | 3 | 1 | 1 |
| 1959 | 7 | 12 | 9 |
| 1961 | 2 | 3 | 2 |
| 1965 | 7 | 9 | 9 |
| 1967 | 3 | 10 | 5 |
| 1969 | 7 | 16-17 | 9 |
| 1976 | 9 | 12 | 12 |
| 1978 | 13 | 13 | 13 |
| 1981 | 12 | 15 | 13 |
| 1984 | 10 | — | 13 |

1984 წელს ტაშკენტში პირველად ჩატარდა შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში, რომელშიც რესპუბლიკის გუნდმა საერთო მე-11 ადგილი დაიკავა (ვაჟები — IX, გოგონები — XV ადგილი).

**ჩოგბურთი**

| | ვ. | გ. | ს. |
|---|---|---|---|
| 1957 | — | — | 3 |
| 1958 | 2 | 3 | 2-3 |
| 1959 | 2 | 4 | 2 |
| 1961 | 1 | 5 | 2 |
| 1965 | 1 | 1 | 1 |
| 1967 | 6 | — | 6 |
| 1969 | 11 | — | 11 |
| 1984 | 2 | 3 | 3 |

**მაგიდის ჩოგბურთი**

| | ვ. | გ. | ს. |
|---|---|---|---|
| 1958 | 12 | 9 | 10-11 |
| 1959 | 14 | 9 | 10-11 |
| 1961 | 6 | 4 | 5 |
| 1963 | 6 | 3 | 5 |
| 1965 | 8 | 8 | 7 |
| 1967 | — | 10 | 8 |
| 1969 | 11 | 10 | 11 |
| 1984 | 12 | 13 | 13 |

**ხელბურთი**

| | ვ. | გ. | ს. |
|---|---|---|---|
| 1965 | 7 | 9 | 8 |
| 1967 | 13 | 11 | 13 |
| 1969 | 5 | 9 | 7 |
| 1972 | 5 | 4 | 4 |
| 1976 | 14 | 8 | 10-11 |
| 1978 | 13 | 9 | 12 |
| 1981 | 15 | 10 | 12 |
| 1984 | 15 | 16 | 16 |

**აკრობატიკა**

| | ვ. | გ. | ს. |
|---|---|---|---|
| 1965 | 3 | 5 | 5 |
| 1969 | — | — | 6 |
| 1972 | — | — | 4 |
| 1974 | — | — | 5 |
| 1976 | 4 | 3 | 3 |
| 1978 | 3 | 3 | 3 |
| 1981 | 4 | 1 | 3 |
| 1984 | — | — | 4 |

**ფარიკაობა**

| | ვ. | გ. | ს. |
|---|---|---|---|
| 1967 | 6 | 5 | 4 |
| 1969 | 2 | 3 | 1 |
| 1972 | 5 | 5 | 6 |
| 1974 | — | — | 4 |
| 1976 | — | — | 5 |
| 1978 | 5 | 8 | 5 |
| 1981 | 8 | 12 | 10 |
| 1984 | — | — | 9 |

**სროლა (ტყვიის)**

| | |
|---|---|
| 1954 | 8 |
| 1955 | 15 |
| 1956 | 11 |
| 1957 | 8 |
| 1958 | 3 |
| 1959 | 8 |
| 1961 | 8 |
| 1965 | 3 |
| 1967 | 5 |
| 1969 | 4 |
| 1972 | 11 |
| 1976 | 4 |
| 1978 | 3 |
| 1981 | 16 |
| 1984 | 8 |

**ველოსპორტი (გზატკეცილი)**

| | |
|---|---|
| 1954 | 7 |
| 1955 | 12 |
| 1956 | 9 |
| 1957 | 4 |
| 1958 | 7 |
| 1959 | 11 |
| 1961 | 3 |
| 1963 | 5-6 |
| 1965 | 4 |
| 1967 | 14 |
| 1969 | 15 |
| 1972 | 6 |
| 1976 | 7 |
| 1978 | 9 |
| 1981 | 12 |
| 1984 | 15 |

1984 წელს ტაშკენტში პირველად ჩატარდა ტრეკზე მოასპარეზეთა შეჯიბრება, რომელშიც საქართველოს გუნდმა მე-13 ადგილი დაიკავა.

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| 1957 | 3 |
| 1958 | 1 |
| 1959 | 2 |
| 1963 | 5 |
| 1965 | 1 |
| 1967 | 2 |
| 1969 | 4 |
| 1972 | 6 |
| 1974 | 7 |
| 1976 | 8 |
| 1978 | 4 |
| 1981 | 2 |
| 1984 | 3 |

**წყალბურთი**

| | |
|---|---|
| 1957 | 1 |
| 1958 | 1 |
| 1959 | 4 |
| 1961 | 5 |
| 1967 | 5 |
| 1969 | 3 |
| 1974 | 6 |
| 1976 | 11 |
| 1978 | 7 |
| 1981 | 8 |
| 1984 | 8 |

**ჭადრაკი**

| | |
|---|---|
| 1961 | 6 |
| 1963 | 5 |
| 1965 | 6 |
| 1967 | 4 |
| 1969 | 6 |
| 1972 | 5 |
| 1974 | 3 |
| 1976 | 3 |
| 1978 | 9 |
| 1981 | 5 |
| 1984 | 2 |

**მხატვრული ტანვარჯიში**

| | |
|---|---|
| 1965 | 12 |
| 1969 | 10 |
| 1972 | 9 |
| 1976 | 13 |
| 1978 | 7 |
| 1981 | 4-5 |
| 1984 | 8 |

**ჭიდაობა (თავისუფალი)**

| | |
|---|---|
| 1967 | 2 |
| 1969 | 3 |
| 1974 | 2 |
| 1976 | 2 |
| 1978 | 3 |
| 1981 | 1 |
| 1984 | 2 |

**ჭიდაობა (კლასიკური)**

| | |
|---|---|
| 1967 | 3 |
| 1969 | 4 |
| 1974 | 3 |
| 1976 | 4 |
| 1978 | 6 |
| 1981 | 7 |
| 1984 | 1 |

**კრივი**

| | |
|---|---|
| 1967 | 5 |
| 1969 | 7-8 |
| 1976 | 13 |
| 1978 | 10 |
| 1981 | 6 |
| 1984 | 4 |

1984 წელს ტაშკენტში მოსწავლეთა XVII სპარტაკიადის პროგრამაში რამდენიმე სახეობა პირველად იქნა შეტანილი. საქართველოს სპორტსმენებმა ამ სახეობებში ასეთი ადგილები დაიკავეს: ძიუდო — I, ძალოსნობა — VII, სინქრონული ცურვა — IV, კარტინგი — II, რადიოსპორტი — VIII.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის

# ქართველ სპორტსმენთა გალერეა ილიასეულ პრესაში



## 3. კულა გლდანელი (ივანე ყირმელაშვილი)

„გუშინწინ სამშაბათ საღამოს ძველ დამოჟნის მახლობლად, ჭიდაობა გაიმართა და ამ ჩვენი ხალხისთვის საყვარელ დროს გატარებას სამი ათასამდინ ხალხი მოაწყდა საყურებლად. ორი მოჭიდავე გამოვიდნენ მაედანზე: ჩვენი ქალაქის კარგათ მცნობი გლდანელი ბიჭი და ერთიც თიონელი, რომელიც, როგორც ამბობენ, კახეთში, ალავერდობაზე განთქმულ მოჭიდავედ ითვლებაო.

დაჰკრეს მეზურნეებმა ჭიდილის ზურნა და ერთი ერთის მხრით გამოვიდა წრეზედ, მეორე მეორისა. გლდანელის გამოსვლის ნახვა ერთრამედ ღირდა: ახალ-გაზდა, ლამაზი, ჩასკვნილ-ჩასხმული ბიჭი მხიარულად, დაიმედებულად, მხნედ გამოვიდა, შეტრიალდა და მივარდა თავის მოწინაალმდეგეს, რომელიც დინჯად, ზლაზნით მოძრაობდა ფართო წრეში. ორჯერ მივარდა გლდანელი თავის მოპირდაპირეს ხელის წასავლებად და ორივეჯერ თიონელმა უკან დაიხია. მესამედ, ერთმანეთის ხელის-ჩავლება და თიონელისაგან სარმის გაკეთება ერთი იყო; გლდანელმა მარჯვედ აიცდინა ფეხი და იმ წამსვე თავის მხრით ერთიმეორეზედ სარმა უქნა. თიონელმა ჩაიჩოქა და ცალი მხარი დაჰკრა მიწას. მიცვივდნენ მოჭიხრეები, შეიქნა არეულობა და ბოლოს მოჭიდავენი გააშველეს".

„დროება", 1882, № 107.

„კიდევ გლდანელმა გაიმარჯვა.

თითქმის მთელი ქალაქი დაესწრო გუშინ გლდანელისა და იგნატაშვილის ჭიდაობას. პირველ გამოსვლაზე იგნატაშვილმა დასცა მუხლეგზედ გლდანელი. იგრიალა ხალხმა და იძულებული იყვნენ გაეშველებინათ.

მეორედ გაშალეს გაგი, გამოიყვანეს, მოჭიდავეთ ორჯერ-სამჯერ შეარყიეს ერთი-მეორე და უფანდოდ მოჰყვა იგნატაშვილი ქვეშ — არც სარმა, არც კისრული და არც სხვა ხერხი. იგნატაშვილმა კიდე გაითხოვა, მაგრამ სადღა იყო. დიდის ამბით, ერთი კიჟინით აატარჩამოატარეს გამარჯვებული გლდანელი".

„დროება", 1882, № 250.

„უანგარო ხალხი მოაწყდა გუშინ წინ გოდფრუას ცირკს, რადგან ჩვენი გამოჩენილი მოჭიდავის გლდანელის ჭიდაობა იყო გამოცხადებული. ის დაეჭიდა ერთს ბაქოს გუბერნიიდამ ამისათვის საგანგებოდ ჩამოსულს კროს და ისიც ისე დაამარცხა, როგორც ბევრი სხვა მისთანენი. ძალიან მარჯვე ბიჭი კი უნდა იყოს, როგორც ეტყობა, ის კრო: ორჯერ წამოილო გლდანელმა ზურგით და ორივეჯერ კატასავით ფეხზე დადგა; მესამეჯერ კი იმის მძლავრ სარმას ვეღარ გაუძლო, გულ-აღმა დაეცა და გლდანელიც ზემოდამ დააწვა, კიდევ აღარ წამოხტესო".

„დროება", 1882, № 265.

„გლდანელის და ლოლაძის ჭიდაობა ისეთ საბაძო და საჯიბრო რამედ შეიქმნა, რომ ესრედ წოდებულ „ალმოსავლეთის საქმეს" დაემსგავსა და ლამის საბისმარკოდაც გახდა. გუშინ გლდანელმა დაიმკვიდრა ნამდვილი ფალავნის სახელი. ჭიდაობა იყო გამართული „იტალიის ბაღში", სადაც გაუმართავთ ფიცრულით შემოფარგლული წრე და გარშემო დასასხდომი ალაგები. ქალაქში ერთი ფაეტონიც აღარ მოიპოვებოდა და „კონკაზედ", ანუ როგორც აქაურმა კინტოებმა დაარქვეს, „ბატზედ" ალაგის შოვნას ყარსის აღება სჯობდა. ოთხ საათზედ „იტალიის ბაღის" ახლო მიხაილის ქუჩა ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ ნემსი აღარ ჩავარდებოდა. რაც ახლო-მახლო დიდრონი ხეები იყო, იმათ ტოტებზედ შეხვეული ფუტკრის მართვესავით შეიკუნწლა ხალხი. მეექვსე საათზედ [გაიმართა ფალავნებში ჩოხების არჩევაზედ ბაასი და ერთმანეთში მოციქულების გზავნა. დაუკრა ზურნამ „საჭიდაო" და ლომივით გამოვიდა შუა წრეში გლდანელი. მას თან მოჰყვა ლოლაძე, მაგრამ იმის გამოსვლაში სრული უიმედობა იხატებოდა. გლდანელი მედგრად ეცა და ერთი თვალის დახამხამებაზედ ეს დევივით კაცი ზურგით დასცა მიწაზე".

„დროება", 1883, № 75.

„არც სარა-ბერნარზედ, არც პატიზედ ესეთი თავის მტვრევა არ გვინახავს, როგორც გუშინ იყო გლდანელის ჭიდაობაზედ. ხუთ ათასამდინ კაცი იქნებოდა შეყრილი, მაგრამ მათში მხოლოდ მესამედს ბედნიერთ ერგოთ ბაღში შესვლა, რადგანაც ბილეთები მალე დაიტაცეს და ადგილი აღარ იყო. შვიდი პირი ჰყიდდა ბილეთებს და მაინც ვერ ასწრობდნენ...



...პოლიციიდან ასი კაცი იყო მოწვეული და მაინც ვერ შეიმაგრეს ხალხი, თუმცა ცხენოსანი ყაზახებიცა ჰშველოდნენ. დღევანდელი ჭიდაობა იყო გამართული რამდენიმე ღარიბი ოჯახის სასარგებლოდ. დიდი მადლობისა და მიბაძვის ღირსნი არიან კ-ნ ნინო ბარათოვისა და კ-ნ მარგო მელიქოვისა, რომელთა წყალობითაც რამდენიმე ღარიბი ოჯახი ეხლა სულს მოიბრუნებს. ხალხი თითქმის ოთხი საათიდან დალაგებულიყო და შვიდ საათამდე დიდის მოთმინებით ელოდა მოჭიდავეს. ძლივს ზურნამ საჭიდაო დაუკრა, შუა წრეში გადმოხტა ლომივით გაბრაზებული გლდანელი, მასთან გამოჰყვა ათამალაშვილი, რომელსაც გლდანელი ცეცხლივით მოედო. ჯერ ცალი ხელი მოავლო და მთლად დააფორიაქა. დაიქნია და წამოაპირქუავა, მერე თითონვე ააყენა, გამოჰკრა სარმა და ზედ ზურგზედ გაშხლართა.

ამის შემდეგ რაც მოხდებოდა ადვილი წარმოსადგენია და ჩვენც აღარას ვიტყვით".

„დროება", 1883, № 102.

„...მეც იმ აზრისა ვარ, რომ ძრიელ დიდი უსამართლობაა ფული გადაახდევინო და ნამეტნავად მუშა ხალხს იმის ყურებისათვის, რაც ჩვენში ყოველთვის მუქთი ყოფილა. მე ჩემს დღეში ჭიდაობას ფულის მოსაგებ ხელობად არ გავიხდი და გაშლილ მინდორზედ იმდენჯერ მიჭიდავნია, რომ ათამალაშვილი ვერც კი დასთვლის (ეს წერილი დაწერილია ატამაშვილის პასუხად ა. ც.); მაგრამ მიჭიდავნია იმისთანა ალაგებშიც, სადაც მაყურებელს ფულს ახდევინებენ. ამისთანა ალაგებში სულ თოთხმეტჯერ მიჭიდავნია და ათჯერ საწყლების სასარგებლოდ და იქიდამ ერთი კაპიკიც არ მიმიღია. თუ ამისთანა ჭიდაობას ათამალაშვილი „გალერეიაში ხტუნვას" ეძახის, დეე, ევგრე იყოს მაშ! მე კიდევ მზათა ვარ იმ გალერეიაში ვიჭიდაო, ოღონდ ჩემი შნოებით და უნარით საწყლებს და გაჭირვებულებს რამ ერგოთ".

„დროება", 1883, № 102.

„საექვოდ გალახული ერთიღა დარჩა გლდანელს, კახელი გაიოზა და იმასაც გუშინააკვრევინა ბეჭები. გუშინდელი ჭიდაობაც საქველმოქმედო მიზნით იყო გამართული. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ გლდანელი ამ ჭიდაობებიდან კაპიკს არ იღებს და მისგან გალახულები კი თითო ზურგის დაკვრაში ათ-ათ თუმანს იღებენ".

„დროება", № 107, 1883.

„კვირას, 31 აგვისტოს იტალიის ბაღში ჭიდაობა გაიმართა. ამ ჭიდაობას ბევრი ხალხი დაესწრო. შემოსავლის ერთი ნაწილი წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ იყო გადადებული. ჯერ, როგორც ყოველთვის არის ხოლმე, აჭიდავეს პატარები და შემდეგ კი ჯერი გლდანელსა და მის მოწინააღმდეგეზე მიდგა. გლდანელს მას შემდეგ, რაც ჭიდაობს, ორმოცამდე კაცი გაულახავს, მაგრამ ჯერ ესებუასთანა მოჭიდავე არ გამოსჩენია".

„ივერია", 1886, № 188.

„როგორც დახელოვნებული, გაწვრთნილი და გათამამებული მოჭიდავე გლდანელი ბევრად უფრო მაღლა სდგას ესებუაზე, მაგრამ სიმარდე და მოხდენილობა, თითქმის რაინდული ქცევა, ახალგაზრდა ესებუას მეტი აქვს... როდესაც გავარჯიშდება ჭიდაობაში, მაგასთან გლდანელი ვეღარ მივა, ხალხის გულსაც ადვილად მოიგებს. მხოლოდ ამას კი ვურჩევთ ესებუას, და აგრეთვე სხვა მოჭიდავე ქართველებსაც, რომ ნუ შებღალავენ მამაპაპურ ჩვეულებას, ვაჟკაცობით ვაჭრობა ზნეობით ბინძურობაა... იჭიდაონ უსასყიდლოდ და მხოლოდ საჩუქარს დასჯერდნენ ხოლმე და თუ მაინცა და მაინც არა, საწყალ ღარიბ მუშა ხალხს დიდ ქირას ნუ ართმევენ".

„ივერია", 1886, № 192.

„გამოვიდა გატიტვლებული გლდანელი სარბიელზედ ლომივით და გაიბერტყა. თითქოს ძარღვებმა წკრიალი დაიწყესო. მართლა სასიამოვნო სანახავი იყო ეს ხელოვნურად ნაკვეთი კაცი. მისი შემხედვარე მაყურებელი ვერ წარმოიდგენდა, რომ გლდანელისათვის შეებედნა ვისმეს, ან გოლიათს, ან სპილოს და ან ვეშაპს, ასე იპარავდა იმისი სიკარგე ადამიანის თვალს".

„ივერია", 1888, № 169.

შენიშვნა: „დროების" და „ივერიის" ავტორთა ზოგიერთ წერილში გაკიცხულია გლდანელი ჭიდაობაში გარკვეული საფასურის აღებისთვის. მაგრამ, ამასთან ერთად, იმავე გაზეთებში ხშირად გაკეთებული იყო შენიშვნა იმის თაობაზე, რომ გლდანელი აღებული თანხის დიდ ნაწილს საქველმოქმედო საქმეებს ახმარდა. ასე მაგალითად, გლდანელის ერთ წერილს („დროება", 1883 № 102) ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული. „ჩვენ გვაქვს ნამდვილი ცნობები, რომ გლდანელის ჭიდაობით საქველმოქმედო მიზნისთვის ხუთას თუმანზედ მეტი შეგროვილა ჯერ-რედ". არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ დროისათვის გლდანელი სულ რაღაც 2-3 წლის გამოსული იყო დიდ სარბიელზე.

გლდანელის შემოსავლის გარკვეული ნაწილი ეგზავნებოდა მოსკოვში სასწავლებლად წასულ ვაჟა-ფშაველას. ეს ფაქტი შეუძლებელია, ცნობილი არ ყოფილიყო „დროებისა" და „ივერიის" ავტორებისთვის, და მასთან, ილია ჭავჭავაძისათვის.

შეკრიბა
ავთანდილ ციბაძემ.

---

სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოში მოეწყო ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო თასის მერვედფინალურ შეხვედრათა წილისყრა.

თბილისის დინამოელები 4 აგვისტოს ლენინგრადში შეხვდებიან „ზენიტს", ხოლო საპასუხო მატჩს შინ გამართავენ 16 აგვისტოს.

სოხუმის დინამოელები ამავე დღეებში ჯერ ხარკოვში შეხვდებიან „მეტალისტს", ხოლო შემდეგ შინ მიიღებენ მეტოქეს.

სხვა წყვილები: „შახტიორი" (დონეცკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი), ცსკა — „ტორპედო" (მოსკოვი), „არარატი" (ერევანი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), „დინამო" (კიევი) —„როტორი" (ვოლგოგრადი), „ნეფთჩი" (ბაქო) — „კუზბასი" (კემეროვო). პირველად დასახელებული გუნდები 4 აგვისტოს შინ ითამაშებენ, ხოლო 16 აგვის-[illegible] „ჟალგირისსა" და ფერგანის „ნეფტიანიკს" შორის გამარჯვებულს. „შახტიორი" და „სპარტაკი" პირველ მატჩს გამართავენ 2 აგვისტოს.

ტაშკენტის „ფახთაქორი" ვილნიუსის „ჟალგირისისა" და ფერგანის „ნეფტიანიკის" მატჩებში გამარჯვებულს შეხვდება 29 სექტემბერს და 20 ოქტომბერს. კიევის „დინამოსა" და ვოლგოგრადის „როტორის" თამაშის დღეები დადგინდება მოგვიანებით.

# სჭირდება კი ფეხბურთს გადათამაშებები?

**შეცდომის** დასაშვებად მხოლოდ ერთი უპასუხისმგებლო წამიც კმარა, მის გამოსასწორებლად კი შემდეგ უამრავი დრო და ენერგია იხარჯება. ომსკელმა მსაჯმა ვ. კუზნეცოვმა, რომელსაც გვერდით მსაჯად კრასნოდარელი ვ. სმაგინი „ეხმარებოდა", თავისი უხეში შეცდომებით ერთიანად გააფუჭა „სპარტაკისა" და „დნეპრის" მატჩი. „დნეპრის" კარში მან ჩათვალა გოლი, რომელიც არ გასულა და ამის შემდეგ კვლავ დნეპროპეტროვსკელები დასაჯა ყოვლად დაუსაბუთებელი 11-მეტრიანი დარტყმით, რითაც ზეგავლენა მოახდინა მატჩის საბოლოო ანგარიშზე. როგორც ვიცით, მსაჯის ამგვარ გადაწყვეტილებებზე პროტესტები არ მიიღება.

მსაჯები მკაცრად დასაჯეს. მათ აუკრძალეს (ჯერჯერობით ცნობილი არ არის რამდენი ხნით) მსაჯობა ქვეყნის ჩემპიონატის ყველა ლიგაში. გადაწყვეტილება ძალზე მკაცრია, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ ომსკელი ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. კუზნეცოვი იმდენად დამნაშავე არაა, ეს მისი უბედურებაა. მან ამ სეზონში ერთხელ უკვე ვერ გაართვა თავი „ზენიტისა" და ცსკა-ს მატჩის მსაჯობას. ეს კარგად იცოდნენ მსაჯთა საკავშირო კოლეგიის ხელმძღვანელებმა ვ. ზუევმა და პ. კაზაკოვმა, მაგრამ მაინც დანიშნეს ვ. კუზნეცოვი უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩის არბიტრად, რითაც, გარკვეულწილად, მას ახალი შეცდომებისკენ უბიძგეს. კუზნეცოვი მზად არ იყო ასეთი ამოცანის გადასაჭრელად და კვლავ, ახლა უკვე ორივე ფეხით, „წაიფორხილა" სწორ საფეხბურთო მინდორზე.

მსაჯებთან ამჯერად ყველაფერი გაირკვა. მაგრამ რა ვუყოთ მატჩის ანგარიშს? თუ არ ჩავთვლით ამ ორ ავბედით გოლს, მაშინ გამარჯვებულად „დნეპრი" უნდა ჩაითვალოს, რომელმაც მასპინძელთა კარში ორი ნაღდი გოლი გაიტანა. მაგრამ ეს უპრეცედენტო შემთხვევა იქნებოდა. ვიღაცამ მატჩის გადათამაშების იდეა წამოაყენა, რაც, სხვათა შორის, 23 ივლისს განიხილავს ფეხბურთის ფედერაცია „სპარტაკისა" და „დნეპრის" წარმომადგენლებთან ერთად. სპარტაკელებს ეს იდეა მოეწონათ: გუნდს უკვე 7 ფრე აქვს და შეძლება სწორედ ამ ანგარიშმა 2:2 გადამწყვეტი როლი ითამაშოს შემდგომში. „დნეპრის" ფეხბურთელებს კი გადათამაშება საერთოდ არ სჭირდებათ: გუნდმა ქულა მოიპოვა მეტოქის მინდორზე, სადაც მსაჯმა მათ არსებითად გამარჯვება წაართვა.

რა თქმა უნდა, კეთილშობილების უმაღლესი გამოხატვა იქნებოდა, რომ „სპარტაკს", თუნდაც თამაშის ხელმეორედ ნახვისა და მსაჯის შეცდომებში დარწმუნების შემდეგ, „დნეპრისთვის" მოგების ჩათვლა შემოეთავაზებინა. მაგრამ ეს არ მოხდა.

ჩემი აზრით, გადათამაშება არა მარტო უსამართლო იქნებოდა, არამედ ფეხბურთისთვის საზიანოც კი. უპირველეს ყოვლისა, ეს იქნებოდა სახიფათო პრეცედენტი ქვეყნის ჩემპიონატის ისედაც არეულ კალენდარში. გადათამაშება გამოიწვევს 4 სრულიად სამართლიანად გაფრთხილებული და ერთი გაძევებული მოთამაშის რეაბილიტაციას. და, ბოლოს, გ. ფედოტოვის კლუბიდან ბოდიშის მოხდით უნდა გამოგვეყვანა ფედორ ჩერენკოვი, რომელმაც სწორედ ამ მატჩში გაიტანა თავისი მესამე გოლი.

როდესაც ყველაფერ ამაზე ფიქრობ, ძალაუნებურად იმ აზრამდე მიდიხარ, რომ ფეხბურთში ჩვენ თითქოს სიამოვნებასაც კი გვგვრის საქმისადმი არაპროფესიული დამოკიდებულებით საკუთარ თავს სიძნელეები შევუქმნათ იქ, სადაც სათანადო წესრიგისას ისინი არ იქნებოდა. საკვირველია ისიც, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა არაფერი შეუსწორა მსაჯთა საკავშირო კოლეგიას, სადაც მხოლოდ წლევანდელ სეზონში უკვე 27 არბიტრს აქვს მიღებული სერიოზული შენიშვნები.

ბ. ფედოსოვი,
„იზვესტია", 21 ივლისი.

# „სიჭაბუკის" თასის ფინალში

**კაუნასში** დამთავრდა „სიჭაბუკის" თასის ნახევარფინალური გათამაშება, რომელშიც მონაწილეობდნენ ლიტვის, ლენინგრადის, ბელორუსიის, საქართველოს, ტაჯიკეთისა და მოლდავეთის გუნდები.

ჩვენს მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ტურნირის დასკვნით დღეს ერთმანეთს ხვდებოდნენ საქართველო-ბელორუსია, ლიტვა-მოლდავეთი, ლენინგრადი-ტაჯიკეთი. ტურნირის ლიდერს — საქართველოს ნაკრებს თასის ფინალურ გათამაშებაში გასასვლელად ფრეც ყოფნიდა, ხოლო ლენინგრადელებს დიდი ანგარიშით უნდა მოეგოთ ტაჯიკეთის ნაკრებისთვის — 7:0.

და მოხდა ჩვენი გუნდისთვის სწორედ ეს არასასურველი ვარიანტი: მან წააგო ბელორუსიის ნაკრებთან — 1:2, ლენინგრადელებმა კი ზუსტად იმ ანგარიშით დაამარცხეს ტაჯიკეთის გუნდი — 7:0, ხოლო ლიტვისა და მოლდავეთის გუნდების შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ყველაფერი ამის შემდეგ ქულათა თანაბარი რაოდენობა 7-7 დაუგროვდათ საქართველოს, ლიტვისა და ლენინგრადის გუნდებს. ყველაფერი გადაწყვიტა ამ სამ გუნდს შორის ერთმანეთს შორის ჩატარებულ შეხვედრათა ბალანსმა. ამ მაჩვენებლებით პირველ ადგილზე გავიდა საქართველოს ნაკრები (უფროსი მწვრთნელი გ. გვანცელაძე, მწვრთნელები — ვ. ნადირაძე და ა. ვაშაკიძე), მეორეზე — ლიტველები, მესამეზე — ლენინგრადელები.

1972 და 1973 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა საკავშირო ნაკრებში საქართველოს გუნდიდან მიიწვიეს თბილისის „დინამოს" წევრები დ. ჯანელიძე და თ. თიგიშვილი, თბილისის 35-ე საშუალო სკოლის აღსაზრდელები ზ. პაპიძე და გ. გურულიშვილი, აგრეთვე, ქუთაისის ტორპედოელი დ. ჯანაშია.

ნაკრებში მიიწვიეს, აგრეთვე, სოხუმის დინამოელი ფ. პაპანდოპულო.

„სიჭაბუკის" თასის ფინალური ტურნირი 10-20 აგვისტოს გაიმართება ნოვოჩერკასკში. ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მოსკოვის, უკრაინის, რსფსრ-ს, აზერბაიჯანის, საქართველოსა და ლიტვის გუნდებმა.

# სსრ კავშირის 24-ე ჩემპიონატი რეგბიში



თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 19 ივლისი.

**„ელმავალი“ (თბილისი) — ახკ (ალმა-ათა) 6:43 (6:25).**

ამ დღეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი იყო: რეგბის სათამაშოდ მოწყობილი მოედანი, ორასამდე ერთგული მაყურებელი... არ იყო მხოლოდ ის გუნდი, რომელიც ღირსეულად გაუმკლავდებოდა პირველ ექვსეულში დასამკვიდრებლად მებრძოლ მოწინააღმდეგეს.

სტუმრებმა „არ დაინდეს“ თბილისელთა სახელდახელოდ შექმნილი გუნდი, არც გაემტყუნებათ; განზრახ სუსტად თამაში ხომ არასპორტული საქციელია!

დიახ, თამაში ალმაათელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. მათ 7 ლელო, 3 რეალიზაცია, 1 საჯარიმო და 2 არეკნი გაიტანეს. მეტის მიღწევა ალბათ არც შეეძლოთ, რადგან მეტოქე თავგანწირულად იცავდა თავს, თუმცა ამაოდ ცდილობდა კონტრთამაში წამოეწყო. დიახ, თბილისელთა ახალ გუნდს არ აკლდა მონდომება, მაგრამ მარტოოდენ თავგანწირვით ვის გაუმარჯვნია? სამწუხაროდ, „ელმავალის“ მორკინალებს არც გაწაფულობა და არც ძალა ეყოთ საიმისოდ, რომ მეტოქეს გამკლავებოდნენ. რაკი მორკინალეებმა ბრძოლა პირწმინდად წააგეს, გუნდი მატჩის განმავლობაში პრაქტიკულად უბურთოდ დარჩა და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მონიავას, ჯინჭარაძისა და ძაგანელის სოლო-რეიდებს, შეტევაზე არც კი უფიქრია. ჩვენების ერთადერთი საზრუნავი მეტოქეთა იერიშების მოგერიება იყო, მაგრამ აქ თბილისელ სამმეოთხედელთა სრული უსუსურობა გამომჟღავნდა, რისი მიზეზიც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი რეგბის შინაურ პრობლემებში უნდა ვეძებოთ.

„ელმავალის“ პირველი მარცხი ტრაგედიად არ უნდა იქცეს. სხვაგვარად არც მოხდებოდა. უმაღლესი ლიგის გუნდი 18 დღეში ჯერ არავის შეუქმნია. „ლოკომოტივის“ მაგალითი გავიხსენოთ. გუნდის წლევანდელი შემადგენლობა ბოლო ხუთი სეზონის მანძილზე იკრიბებოდა, ჩემპიონატში გამოსვლას კი ოთხთვიანი საგულდაგულო მზადება უძღვოდა. ამიტომ, გუნდისგან შეუძლებელს, პირველ ხანებში მაინც, ნუ მოვითხოვთ. თუ „ელმავალი“ თანდათან გააუმჯობესებს თამაშს, ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე დაამარცხებს კონკურენტებს და უმაღლეს ლიგაში დარჩება, ეს უდავოდ სპორტული გმირობა იქნება.

**ახკ-ს „ელმავალი“ ახეთი შემადგენლობით ეთამაშა: გიორგი ძაგანელი; გელა ვალიშვილი, თემურ ჩიხლაძე (მიხეილ ხარატი), ვანო ბახტაძე, დათო გოცაძე; მურად შეყლაშვილი, იგორ ქერაული; ალექსი მჭედლიძე, ოთარ ჯინჭარაძე, ბექარ აბრამიშვილი (კახა გიუნაშვილი), ვალერი გიორგობიანი, ნუგზარ ხარშილაძე (ლაშა ჩიქვანიძე), თემურ ქერტყოევი (დიმიტრი მამრიკიშვილი), გაიოზ მონიავა, გოჩა ხვანიძე. თბილისელთაგან ორი საჯარიმო შეყლაშვილმა შეაგდო.**

**ზაზა ფხაკაძე.**

* * *

**საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი. 19 ივლისი.**

**„შევარდენი“ (თბილისი) — „ავიატორი“ (კიევი) 3:6 (3:6).**

**„შევარდენი“: გვიანიშვილი; კურატიშვილი, მუზაშვილი, ხურმავა, გარუჩავა; ჩავლეიშვილი, ჯანელიძე; ნ. მგელაძე, თეზელაშვილი, ბიძინაშვილი, კახეთელიძე (გაგნიძე), ლეჟავა, გოდერძიშვილი, ბერიაშვილი, მჭედლიძე (მაჭავარიანი).**

**„ავიატორი“: იგნატენკო; მაზალცევი, ნიკონი, ზახარენკო, ბრიუზგინი; ო. ხლიუსარი, შინკარი (პინჩუკი); ავხიანიკი, ხაირულინი, ლიჟნიოვი, ჩეველევი, კოროლიოვი, ა. ხლიუსარი (ეფიმოვი), მუხა, ალექსანდროვი.**

**მსაჯი — ალექსანდრე მატვეევი (მოსკოვი).**

**გოლები: საჯარიმო — გარუჩავა (19 წთ), დამიწება — ნიკონი (39 წთ), რეალიზაცია — მაზალცევი 40 წთ).**

**აუტსაიდერისა** და ერთ-ერთი ლიდერის მატჩის დაწყებისთანავე უპირატესობა სტუმრებმა მოიპოვეს, მაგრამ „შევარდენმა“ უფრო დინამიურად დაიწყო დაცვაში თამაში, და მეტოქის ნახევარზე გადაინაცვლა. კიეველმა ლიჟნიოვმა თამაშის წესი დაარღვია და არცთუ ხელსაყრელი მდგომარეობიდან, 35 მეტრიდან, საჯარიმო ზუსტად დაარტყა თბილისელმა მიხეილ გარუჩავამ — 3:0. ძლიერ მეტოქესთან დაწინაურებამ წააქეზა მასპინძლები და ბრძოლა დაიძაბა.

პირველ ტაიმში მასპინძლები მოედნის თავიანთ ნახევარზე თითქმის არ ჯარიმდებოდნენ, მეტოქის მოედანზე კი უფრო ხშირად მოსდიოდათ შეცდომა. ერთი სიტყვით, მასპინძლები აქტიურობდნენ, მაგრამ ზედმეტად ჩქარობდნენ და არაზუსტად თამაშობდნენ.

მართალია შეტევა კარგი დაცვაა, მაგრამ, როცა მეტოქეს უტევ, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზეც უნდა იზრუნო.

კიეველებმა პირველ ტაიმში ერთადერთი სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს და წარმატებასაც მიაღწიეს. 39-ე წუთზე, როცა თბილისელები შეტევით იყვნენ გართულნი, „ავიატორმა“ ელვისებური კონტრშეტევა განახორციელა მარცხენა ფრთაზე. ჩათვლის მოედნისკენ გაჭრილმა ბრიუზგინმა ცენტრში გადააწოდა ბურთი ნიკონს, რომელმაც ისარგებლა ხელსაყრელი მდგომარეობით და ბურთი დაამიწა — 3:4. ორქულიანი რეალიზაცია გაიტანა მაზალცევმა.

3:6 — ასე დამთავრდა პირველი ტაიმი და... მატჩიც. დიახ, მეორე ტაიმში გამოცდილმა უკრაინელმა რეგბისტებმა აღარ გააწვავეს თამაში, ისინი ძირითადად თავს იცავდნენ. მართალია, „შევარდენს“ ძალა არ დაუშურებია, მაგრამ სტანდარტულ სიტუაციებში, აუტში და შერკინებისას ვერ გაუმკლავდა კიეველთა ძლიერ. თავდამსხმელებს.

**რამდენჯერ ითქვა და კიდევ ვიმეორებთ: 19 ივლისს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე არ ჩანდნენ მილიციის მუშაკები, არც სამედიცინო პერსონალს შეუწუხებია თავი სტადიონზე მოსვლით.**

**სპორტპროგნოზის მოყვარულებმა გულისტკივილით გვითხრეს, მთელი ქალაქი კითხვა-კითხვით შემოვიარეთ, რომ გაგვეგო, სად და რომელ საათზე თამაშობდა „შევარდენი“.**

**გაბრიელ ბარჯაძე.**

● ● ●

**რეგბისტთა** საკავშირო ჩემპიონატის მე-18 ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) — „მშენებელი“ (ქუთაისი) 3:15, „ეტს“ (კრასნოიარსკი) — „სლავა“ (მოსკოვი) 6:6, „პრიმორეცი“ (ლენინგრადი) — სსა (მონინო) 3:20, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ფილი“ (მოსკოვი) 7:3.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 22 ივლისისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსა (მონ.) | 18 | 11 | 4 | 3 | 44 | (—10) |
| „მშენ.“ (ქ.) | 18 | 12 | 1 | 5 | 43 | (—11) |
| „ავ.“ (კ.) | 18 | 11 | 2 | 5 | 42 | (—12) |
| „ფილი“ (მ.) | 18 | 10 | 3 | 5 | 41 | (—13) |
| ახკ (ა.-ა.) | 18 | 9 | 4 | 5 | 40 | (—14) |
| „სლავა“ (მ.) | 17 | 10 | 1 | 6 | 38 | (—13) |
| „ეტს“ (კრ) | 18 | 9 | 2 | 7 | 38 | (—16) |
| „ლოკ.“ (მ.) | 17 | 9 | 1 | 7 | 36 | (—15) |
| „ელმავალი“ | 15 | 6 | 1 | 8 | 28 | (—17) |
| „ელ.“ (ტირ.) | 18 | 4 | 1 | 13 | 27 | (—27) |
| „პრიმ.“ (ლ.) | 17 | 3 | 0 | 14 | 23 | (—28) |
| „შევარდ.“ | 18 | 1 | 0 | 17 | 20 | (—34) |

მორიგ ტურში, 23 ივლისს, „მშენებელი“ უმასპინძლებს „შევარდენს“, „ელმავალი“ კი ტირასპოლში შეხვდება „ელექტრომაშს“.

# მენსელი აღარ ხუმრობს

12 ივლისს, ინგლისში, სილვერსტოუნის ტრასაზე, გათამაშდა დიდი ბრიტანეთის „გრან პრი“ — მსოფლიო ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპი „ფორმულა-1“-ის ავტომობილებით რბოლაში.

ეტაპი „ჰონდას“ ფირმის ავტომრბოლელთა ორთაბრძოლით აღინიშნა.

ნაიჯელ მენსელმა თავისი მესამე „დიდი პრიზი“ მოიპოვა წლევანდელ ჩემპიონატში. მასზე ორი წამით გვიან გადაკვეთა ფინიშის ხაზი მისმა თანაგუნდელმა ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ. მესამე იყო ასევე ბრაზილიელი აირტონ სენა. მეოთხე ადგილი დაიკავა სენას თანაგუნდელმა, იაპონელმა სატორუ ნაკაჰიმამ. მეორე ინგლისელმა დერეკ უორვიკმა პირველი ორი ქულა მოიპოვა ჩემპიონატში (მე-5 ადგილი), ხოლო იტალიელი ტეო ფაბი მეექვსე იყო.

მსოფლიო ჩემპიონი, ალენ პროსტი, რომელმაც ამ ტრასაზე ორჯერ, 1983 და 1985 წელს გაიმარჯვა, ამჯერად დაზიანებული ძრავის გამო გამოეთიშა რბოლას.



დაჯილდოების შემდეგ ნაიჯელ მენსელმა მადლობა გადაუხადა მრავალრიცხოვან ინგლისელ გულშემატკივრებს მხურვალე მხარდაჭერისათვის.

მეშვიდე ეტაპის შედეგები: 1. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი) — 9 ქულა; 2. ნელსონ პიკე (ბრაზილია) — 6(ორივე „ვილიამს ჰონდა“); 3. აირტონ სენა (ბრაზილია) — 4; 4. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია) —3 (ორივე „ლოტუს ჰონდა“); 5. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ ბე-ემ-ვე“) — 2; 6. ტეო ფაბი (იტალია, „ბენეტონ ფორდი“) — 1 ქულა.

მეშვიდე ეტაპის შემდეგ 31 ქულით კვლავ აირტონ სენა ლიდერობს. მეორე და მესამე ადგილებზე 30-30 ქულით არიან ნაიჯელ მენსელი და ნელსონ პიკე. 4. ალენ პროსტი — 26; 5. ს. იოჰანსონი— 13; 6. გ. ბერგერი — 9; 7. მ. ალბორეტო — 8; 8. ს. ნაკაჰიმა — 6; 9-10. ა. დე ჩეზარისი, ე. ჩივერი— 4-4; 11. ტ. ფაბი — 3; 12-15. ტ. ბუტსანი, მ. ბრანდლი, ჯ. პალმერი, დ. უორვიკი — 2-2; 16-18. რ. არნუ, ი. კაპელი, ფ. სტრაიფი —1-1 ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობაზე, ისევე როგორც შარშან, შეუდარებელია „ვილიამს ჰონდა“, რომელსაც 60 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა „მაკლარენ-პორშე“ — 39; 3. „ლოტუს ჰონდა“ — 37; 4. „ფერარი“ — 17; 5. „ეროუზ ბე-ემ-ვე“ — 6; 6. „ბენეტონ ფორდი“ — 5; 7. „ბრებემ ბე-ემ-ვე“ .— 4; 8. „ტაირელ ფორდი“ — 3; 9. „ცაკსპიდი“ — 2; 10-11. „ლიჟიე“, „მარჩფორდი“ — 1-1 ქულა.

26 ივლისს, დასავლეთ გერმანიაში, ჰოკენჰაიმის ტრასაზე, მსოფლიო ჩემპიონატის მერვე ეტაპი გაიმართება.

**დავით ჩუბინიძე.**

# როცა გული გულობს

**ამას** წინათ ქუთაისში ჩატარდა ჟურნალ „სპორტივნიე იგრის“ პრიზის „ოქროს ოვალის“ გათამაშების ნახევარფინალური ტურნირი. მონაწილეთა შორის იყვნენ ქუთაისის „მშენებლის“, ტაგანროგის „რადუგას“, ნალჩიკის „უნივერსიტეტის“, იოშკარ-ოლას „სპარტაკისა“ და თბილისის „ივერიის“ ნორჩ რეგბისტთა გუნდები. ჩვენი ქვეყნის მოზარდთა რეგბიში გათვითცნობიერებულთათვის ამ გუნდების სახელები კარგად არის ცნობილი—ისინი ხშირად მონაწილეობენ ამ ასპარეზობის ზონალურ თუ ფინალურ ტურნირებში, წლების განმავლობაში რეგბისტთა არაერთი თაობაც აღუზრდიათ. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თბილისის „ივერია“, რომელიც ერთი წელიც არ არის, რაც ჩამოყალიბდა და აი, პირველივე ცდაზე მოიპოვა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება. დღეს ამ გუნდს წარმოგიდგენთ, რადგან სწორედ მისი „ისტორიაა“ საუკეთესო ნიმუში იმისა, როგორ ეზიარნენ რეგბის პატარები, იმ სიხარულს, რომელიც მხოლოდ სპორტმა შეიძლება მიანიჭოს მოზარდებს.

მეშვიდეკლასელთა მშობლებმა თავიდან ეჭვის თვალით შეხედეს ამ წამოწყებას. ოვალური ბურთი რაღაცნაირ უნდობლობას იწვევდა, მაგრამ ბიჭებისთვის მაინც არ დაუშლიათ რეგბის სექციაში ჩაწერა. ან რა ექნათ? ქალაქელ ბავშვებს ხომ ფიზიკური ვარჯიში და სპორტი ჰაერივით სჭირდებათ (აბა როგორ განივითარონ სხეული?), თანაც ეს რაღაც „ბურთისმაგვარი“ მთლად ვერ გადაიყოლებს ბავშვებსო.

შეცდნენ მშობლები, მაგრამ არც შემცდარან!

თბილისის 172-ე საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელია ენთუზიასტი ემზარ სულაქველიძე — რეგბის მცოდნე და მოყვარული. წარსულში კარგად თამაშობდა, მაგრამ მერე ბავშვებთან მუშაობამ გაიტაცა და სხვადასხვა დროს მოზარდთა რამდენიმე გუნდი გამოზარდა. მისი შეგირდები ოსტატთა გუნდებშიც თამაშობდნენ.

თბილისის ახალ დასახლებაში — ვაზისუბანში 172-ე სკოლა რომ გაიხსნა, იქ ფიზკულტურის მასწავლებლად ემზარ სულაქველიძე დანიშნეს. ემზარი მაშინვე სპორტული სექციების ჩამოყალიბებას შეუდგა. ადვილი როდი იყო ეს. მოუწყობელი სპორტული დარბაზი, უწყლო საცურაო აუზი, ხრიოკი სტადიონი ფრთების გაშლის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ემზარმა გულში ამოიჭრა — ჩვენი სკოლის ბაზაზე რეგბისტთა გუნდი უნდა შევქმნაო. მიდგა-მოდგა და დამხმარეც გამოუჩნდა — 97-ე სახლმმართველობა.

პირველი ვარჯიში შარშან სექტემბრის ბოლოს ჩაატარა. თამაშის შესწავლის მსურველთა რიცხვი თანდათან გაიზარდა. მალე ემზარს მისი ნამოწაფარი, ოსტატი რეგბისტი ლევან მგელაძე ამოუდგა გვერდში...

ნორჩ რეგბისტთა მშობლები ამას აღარ ელოდნენ: 172-ე სკოლის გუნდი „ივერია“ ჟურნალ „სპორტივნიე იგრის“ პრიზზე საკავშირო ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. მეშვიდეკლასელებს თავიანთ სპორტულ ბიოგრაფიაში პირველი „შორეული მოგზაურობა“ მოუხდათ — ნახევარფინალურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად ქუთაისში ჩავიდნენ. მართალია, აქ შეჯიბრების ფავორიტებად აღიარებულ ტაგანროგელ და ქუთაისელ თანატოლებთან დამარცხდნენ (3:28 და 12:13), მაგრამ ნალჩიკელებსა და იოშკაროლელებს აჯობეს (12:7, 72:0), მესამე ადგილი დაიკავეს და „მშენებელთან“ (მწვრთნელები — ა. ჩუბინაძე, ა. ნიქაბაძე, დ. ფულარია) და „რადუგასთან“ ერთად ფინალში გავიდნენ. ფინალური ასპარეზობა ქ. ტაგანროგში გაიმართება...

და მაინც, მთავარი ქულები და ადგილი როდია. მთავარი ის არის, რომ ბიჭებს „რეგბის ვირუსი“ შეეყარათ. ყველას სექციაში ჩაწერა უნდა, მაგრამ ემზარი და ლევანი აკადემიურად ჩამორჩენილ ბავშვებს უარით ისტუმრებენ, არც უდისციპლინოებს წყალობენ.

საოცრად გამოიცვალა ჩემი ბიჭი, — ამბობს ერთი ყოფილი „ყოჩი ბიჭის“ მშობელი, — დასერიოზულდა, სწავლას მოუმატა, ეშინია მწვრთნელებმა საყვედური არ უთხრან.

ქუთაისში ყველამ თითო წიგნი წაიღო: მწვრთნელებმა გვითხრეს, თავისუფალ დროს წიგნები იკითხეთო.

მთავარია ისიც, რომ ბიჭები მეგობრობას და გამტანობას სწავლობენ. დიახ, მათ ბევრი რამ უნდა იცოდნენ, რამდენი „შერკინება“ ელით ცხოვრებაში...

ამბობენ, ყველა საშუალება კარგია, რაც სწავლა-აღზრდას ხელს უწყობსო. ყველას სიკარგეზე რა მოგახსენოთ, მაგრამ იმაში კი შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ სპორტი სანდო საშუალება გახლავთ.

**გიორგი ვახანია.**



„ოქროს ოვალის“ ფინალური ტურნირის მონაწილე თბილისის „ივერიის“ ნორჩ რეგბისტთა გუნდი.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 22 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საჭადრაკო სკოლა — **11.30 (2);** ჯანმრთელი რომ იყო — **19.30 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტში — **20.30 (2);** საერთაშორისო ტურნირი ფრენბურთში ი. ჩინილინის ხსოვნის პრიზზე — **23.45 (2).**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07939